ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №633650

ნომერი: AR1122038

თარიღი : 04.04.2013

გაცემის თარიღი : 10.04.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი II , კორპუსი 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად ეჯიბაძე პ/ნ 01011001567
- თბილისი გლდანი IV მ/რ კორ. 105 ბ. 160

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენი განცხადება, რომლთაც ითხოვთ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე კარ ფანჯრის მონტაჟისა და არსებული ღიობების ცვლილების სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება აღნიშნული მიშენებების კანონიერების საკითხი, წარმოსადგენია კანონიერების დამადასტურებელი საბუთი და ამავე დროს თუ სარეკონსტრუქციო მიშენებების ფართობები რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, სამსახური შეძლებს საკითხის განხილვას რეკონსტრუქციის მიმართულებით (აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეთითოს ასევე მოთხოვნის ტექსტის შინაარსში) ხოლო თუ აღნიშნული სარეკონსტრუქციო მიშენებები არის უკანონოდ მოწყობილი და არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო შენობის შემდგომი განვითარება დაუშვებელია. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე საჭიროა გაითვალისწინოთ:
1. მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დეტალურად იქნას ასახული ფართის საკუთრებისა და მისი კანონიერების შესახებ ინფორმაცია;
2." განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ – საკადასტრო კოდში მიუთითეთ მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით (შესაძლებელია მიშენებული ნაწილის ფართის კანონიერების საბუთი –ამონაწერი საჯარო რეესტრიდან აიტვირთოს ფართის „ფაილის მიმაგრების“ ველში);
3.ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში)ან ასევე შესაძლებელია ფართის მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;
4 ასევე ვინაიდან ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის წინმდებარე ტერიტორიის გამწვანება და აღნიშნული მიწის მაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში უნდა ატვირთოთ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. საქართველოს კანონით `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ~ მუხლი 28-ის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება ქმედუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (0,67%) (შინარსობრივად აღწერილი ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ სავალდებულო ამხანაგობის 2/3 დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტის თანხმობით).

ასევე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან თქვენს მიერ დაგეგმილია არსებული ფასადის წინმდებარე წინმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა თქვენს მიერ არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge დამატებით უნდა აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა /ლანდშაფტური მშენებლობა/–ახალი /რისთვისაც სამსახურის მიერ გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ნომეკლატურის დამატებისათვის ღილაკით

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.